

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნდამენტს.

დღესდღეობით მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საკითხები ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. განსაკუთრებით საყურადღებოა ჰიბრიდულ ომსა და კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეები.¹ შესაბამისად, დღეს არსებული გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ამ საფრთხეების თავიდან აცილება და მათზე სათანადო რეაგირება საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით კი განსაკუთრებით საყურადღებოა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულებისა და სხვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ეფექტიანად გამოძიება. საყურადღებოა ასევე ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებული საკითხები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების გადასინჯვა და გაუმჯობესება, რათა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა უფრო ეფექტიანად განხორციელდეს.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის ქმედითი გამოძიება და ადამიანის უფლებების სათანადო დაცვა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა. მეტიც, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოება, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება.²

სახელმწიფოს აღნიშნული პოზიტიური ვალდებულების ჯეროვნად შესრულების ხელშეწყობის მიზნით კი, აუცილებელია, გაუმჯობესდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი საგამოძიებო

¹ ასეთ საფრთხეებზე ყურადღება გამახვილებულია, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ ანგარიშებში; იხ., მაგალითად: <https://info.parliament.ge/#law-drafting/21939>

² იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

მოქმედებების განხორციელება, ხოლო ამ მხრივ აუცილებელია, ახლებურად მოწესრიგდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, რადგან ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; კერძოდ, საჭიროა, დაზუსტდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხანგრძლივობა და შეიცვალოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის შეტყობინების წესი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი 143³ მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, „ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება გაიცემა იმ ვადით, რომელიც საჭიროა გამოძიების მიზნის მისაღწევად, მაგრამ არაუმეტეს 1 თვისა. თუ ეს ვადა საკმარისი არ აღმოჩნდება, დასაშვებია მისი გაგრძელება პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლის განჩინებით, ამ თავით დადგენილი წესით, არაუმეტეს 2 თვისა. პროკურორის შუამდგომლობაში უნდა აისახოს ინფორმაცია დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესახებ და მიეთითოს, რის გამო ვერ მოხერხდა გამოძიებისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შეიძლება კიდევ ერთხელ, არაუმეტეს 3 თვისა გაგრძელდეს საქართველოს გენერალური პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.“

კანონის აღნიშნული ნორმა სასამართლო პრაქტიკაში არასწორი განმარტების საგანი გახდა. იგი განიმარტება გაუმართლებლად შეზღუდულად და არა კანონმდებლის მიერ მასში მოაზრებული იმ ნამდვილი შინაარსის შესაბამისად, რომელიც ამ ნორმის ტელეოლოგიურ გაგებასაც ემთხვევა; კერძოდ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ისეთ დანაშაულებთან დაკავშირებით ჩატარების საკმარის ვადად, როგორებიც არის, მაგალითად, ტერორიზმი, საბოტაჟი, ომის დანაშაული და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა მძიმე დანაშაულები, პრაქტიკაში მიჩნეულ იქნეს 3-თვიანი მაქსიმალური ვადა მაშინ, როცა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მაქსიმალური ვადა, კანონის თანახმად, სინამდვილეში 6 თვეა (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-12 ნაწილის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედების 1 თვის განმავლობაში ჩატარების შემდეგ მისი ჩატარების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს 2 თვით, ხოლო ამის შემდეგ – 3 თვით, რაც, ნორმის ლოგიკური განმარტებით, 6-თვიან მაქსიმალურ ვადას გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ ნორმაში, სიტყვების „არაუმეტეს 2 თვისა“ და „არაუმეტეს 3 თვისა“ ნაცვლად, წარმოდგენილი იქნებოდა სიტყვები „2 თვემდე“ და „3 თვემდე“).

სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით პრობლემატურია ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁹ მუხლით განსაზღვრული, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის

შეტყობინების მოქმედი წესი. ამ წესის მიხედვით, სათანადო ორგანომ ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაცია 24 თვის ვადაში უნდა შეატყობინოს იმ პირს, რომლის მიმართაც ფარული საგამომიებო მოქმედება ჩატარდა. ვინაიდან აღნიშნული წესი არანაირ გამონაკლისს არ ითვალისწინებს, შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევებში შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის ასეთ მცირე დროში შეტყობინებამ საფრთხე შეუქმნას საგამომიებო ორგანოს ფუნქციონირების ეფექტიანობას და არსებითად დააზიანოს სახელმწიფო უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ახლებურად მოწესრიგდეს ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის შეტყობინების წესი.

ამასთანავე, აუცილებელია, რომ ზემოაღნიშნული საკითხების ახლებურად მოწესრიგების პირობებში ადამიანის უფლებებში ჩარევა იყოს გამართლებული და უზრუნველყოფილ იქნეს ბალანსი, ერთი მხრივ, შესაბამისი პირის უფლების დაცვას და, მეორე მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და საგამომიებო ორგანოს ეფექტიანად ფუნქციონირებას შორის.

ამრიგად, კანონპროექტი ემსახურება ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარების ეფექტიანობის გაზრდას და, ამავდროულად, სათანადოდ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზნად სწორედ სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტით წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებები შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ფარული საგამომიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. შესაბამისად, ამ საკითხების ახლებურად მოსაწესრიგებლად აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად უფრო ეფექტიანად მოწესრიგდება „ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგი სახის საკანონმდებლო ცვლილებებს:

1. დგინდება, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საერთო ვადა შეადგენს არაუმეტეს 9 თვეს და ის სამ ეტაპად ტარდება, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევებისა.

ფარული საგამოძიებო მოქმედება პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით პირველ ეტაპზე ტარდება არაუმეტეს 3 თვის ვადით, მეორე ეტაპზე – ზემდგომი პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით არაუმეტეს 3 თვის ვადით, ხოლო მესამე ეტაპზე – საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი პირველი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით არაუმეტეს 3 თვის ვადით.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი პირველი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით შესაძლოა კიდევ ერთხელ გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვის ვადით, თუ ფარული საგამოძიებო მოქმედება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტარდება. გარდა ამისა, თუ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 142-ე, 142¹, 143-ე-143², 144-ე-144³, 155-ე, 157¹, 194-ე, 194¹, 223-ე-226-ე, 230-ე-232-ე, 234-ე-235¹, 239¹, 252-ე, 255-ე მუხლის მე-3-მე-7 ნაწილებით, 255¹, 260-ე მუხლის მე-4-მე-7 ნაწილებით, 261-ე მუხლის მე-4-მე-8 ნაწილებით, 262-ე, 263-ე, 284-ე, 308-ე-321¹, 322¹-333-ე, 337-ე-339-ე, 341-ე, 342-ე, 343-ე, 343¹, 345-ე, 346-ე, 404-ე-413-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარეობს, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა, სასამართლოს კონტროლით, შესაძლოა იმდენჯერ გაგრძელდეს, რამდენჯერაც იარსებებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად საჭირო შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი.

კანონპროექტით დაწვრილებით განისაზღვრება აგრეთვე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის გახანგრძლივების წესი.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის ხანგრძლივობის დამდგენი ზემოაღნიშნული წესი შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

2. დგინდება, რომ თუ ფარული საგამოძიებო მოქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 142-ე, 142¹, 143-ე-143², 144-ე-144³, 155-ე, 157¹, 194-ე, 194¹, 223-ე-226-ე, 230-ე-232-ე, 234-ე-235¹, 239¹, 252-ე, 255-ე მუხლის მე-3-მე-7 ნაწილებით, 255¹, 260-ე მუხლის მე-4-მე-7 ნაწილებით, 261-ე მუხლის მე-4-მე-8 ნაწილებით, 262-ე, 263-ე, 284-ე, 308-ე-321¹, 322¹-333-ე, 337-ე-339-ე, 341-ე, 342-ე, 343-ე, 343¹, 345-ე, 346-ე, 404-ე-413-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან

დაკავშირებით ჩატარდა, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის იმ პირისთვის შეტყობინება, რომლის მიმართაც იგი ჩატარდა, შესაძლოა გადავადდეს იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის, საზოგადოებრივ წესრიგისა და საგამოძიებო ორგანოს ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის საფრთხის შექმნის თავიდან ასაცილებლად. ამ შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის შეტყობინება, სასამართლოს კონტროლის საფუძველზე, ყოველ ჯერზე შესაძლოა გადავადდეს არაუმეტეს 12 თვის ვადით.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის შეტყობინების აღნიშნული წესი შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიცირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით გათვალისწინებული კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, რადგან იგი, მისი მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე, არ ითხოვს ამოქმედების უფრო გვიანდელი ვადის დადგენას. წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. აღნიშნული ხარჯები დაფინანსდება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე ორგანოებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის გახანგრძლივებიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილის გაზრდა. ამ ხარჯების ოდენობა დამოკიდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების კონკრეტულ შემთხვევათა ხანგრძლივობაზე და ისინი დაიფარება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე ორგანოებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს დამატებით ხარჯებს ან შემოსავლებს იმ პირებისთვის, რომლებზედაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი (ფულადი შენატანი).

ბ.1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად

იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი ბერაია, ალექსანდრე ტაბატაძე, ვლადიმერ ჩაჩიბაია, რატი იონათამიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი ბერაია, ალექსანდრე ტაბატაძე, ვლადიმერ ჩაჩიბაია, რესან კონცელიძე, გია ბენაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ეკა სეფაშვილი, რატი იონათამიშვილი, გიორგი ხელაშვილი, კახა კახიშვილი.